ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებები

ქალთა სპეციალურ, ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულებებში

საქართველოს სახალხო დამცველი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებები

(ქალთა სპეციალურ, ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულებებში)

თბილისი
2012

ბროშურა მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ღია საზოგადოების ფონდების მიერ

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ნათია იმნაძე**
ნინო გოგრონიძე

შესავალი

წინამდებარე ბროშურა განკუთვნილია მსჯავრდებულთათვის, რომლებიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელს იხდიან **ქალთა სპეციალურ, ნახევრად ღია** და **დახურული ტიპის დაწესებულებებში.**

ბროშურაში მიმოხილულია ის ძირითადი უფლებები, რომლებითაც, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მსჯავრდებულები სარგებლობენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას, ასევე, სტანდარტები, რომლებსაც ასეთი დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ. ბროშურა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საყოფაცხოვრებო პირობები, კვება, ჯანმრთელობა, განათლება და შრომა, განცხადებებისა და საჩივრების წარდგენის წესი, წახალისება, დისციპლინა, გათავისუფლების საფუძვლები. ადმინისტრაციის ვალდებულებებთან ერთად, ბროშურაში მოცემულია მსჯავრდებულის ქცევის წესები. გარდა ამისა, ბროშურას თან ერთვის სხვადასხვა ტიპის განცხადების ნიმუშები, რომლებიც შესაძლოა მსჯავრდებულს დასჭირდეს. საუბარია ასევე ბრალდებული არასრულწლოვნების უფლებების თაობაზე.

წინამდებარე ბროშურაში მოცემულია ინფორმაცია ბრალდებულთა უფლებების შესახებ

ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, თუმცა, სასამართლოს არ გამოუტანია მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ პირი ხდება მსჯავრდებული.

ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. აღნიშნული ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან ელექტრონული მეთვალყურეობა. ადმინისტრაცია ვალდებულია, გააფრთხილოს ბრალდებულები/მსჯავრდებულები კონტროლისა და ზედამხედველობის ტექნიკური საშუალებების გამოყენების თაობაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე, მაგრამ ღამის საათებში მსჯავრდებულთა გადაადგილება საერთო საცხოვრებლის გარეთ აკრძალულია.

ქალთა სპეციალური დაწესებულება გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

დახურული ტიპის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, როგორც შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, ისე სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა ხორციელდება.

დახურული ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებულნი არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირთა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან ელექტრონული მეთვალყურეობა.

მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები

საცხოვრებელი ფართი

უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას.

ფართი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობით.

მსჯავრდებული ქალებისათვის – არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები.

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის – არ უნდა იყოს 2 კვ. მეტრზე ნაკლები.

დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის – არ უნდა იყოს 2,5 კვ. მეტრზე ნაკლები.

საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ეწყობა **სპეციალური განყოფილება** ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისათვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ადმინისტრაციის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა.

ჰიგიენა

მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად.

მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის მიღების შესაძლებლობით კვირაში ორჯერ და საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ.

ადმინისტრაციას ეკრძალება, მოსთხოვოს მსჯავრდებულს თმის მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.

მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს არ აქვს პირადი ტანსაცმელი, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, რომელიც თავისი ფორმით არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. აუცილებლობის შემთხვევაში, მას ეძლევა სამუშაო ტანსაცმელი.

კვება

მსჯავრდებული ყოველდღიურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამჯერადი კვებით. საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს.

მსჯავრდებულს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი.

მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამატებით, 500 ლარის ფარგლებში, შეიძინოს საკვები პროდუქტები დაწესებულებასთან არსებულ მაღაზიაში ან მიიღოს ამანათით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სპეციალურ ბრძანებაში მოცემული ჩამონათვალის ფარგლებში.

შენიშვნა! აკრძალულია საკვების კალორიულობის შემცირება მსჯავრდებულის დასჯის მიზნით.

საკვები პროდუქტების მიღება

მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები ამანათის სახით, მაგრამ ამისათვის საჭიროა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვა.

ჯანმრთელობა

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მისვლისთანავე მსჯავრდებული გადის სამედიცინო შემოწმებას, რის შესახებაც დგება ცნობა, რომელიც ინახება მსჯავრდებულის პირად საქმეში.

მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება წელიწადში ერთხელ მაინც.

დაწესებულების სამედიცინო ნაწილი მსჯავრდებულს უზრუნველყოფს მისთვის საჭირო გამოკვლევებითა და მკურნალობით. მსჯავრდებულს დამატებით შეუძლია, მედიკამენტები შეიძინოს დაწესებულებასთან არსებულ აფთიაქში.

მსჯავრდებულს შეუძლია, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი, რისთვისაც მან ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა წერილობით უნდა მიმართოს სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს. დეპარტამენტის უფროსის უარი სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

მკურნალობა დაწესებულების გარეთ

მსჯავრდებული სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ან/და მკურნალობის მიზნით, შეიძლება გადაყვანილ იქნეს:

- მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში;
- ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში;
- საერთო პროფილის საავადმყოფოში.

ამისათვის საჭიროა: სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება დაწესებულების ექიმის შუამდგომლობის საფუძველზე.

ქალთა პატიმრობისა და ნახევრად ღია თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შეიძლება გადაყვანილ იქნენ მხოლოდ გამოკვლევების ჩატარების მიზნით.

მსჯავრდებულის განათლება და შრომა

განათლება

სავალდებულოა დაწყებითი და საბაზო განათლების მიცემა მსჯავრდებულთათვის.

მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, მიიღონ **ზოგადი** და **პროფესიული** განათლება. ამისათვის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, შექმნას შესაბამისი პირობები.

მსჯავრდებულს, რომელიც ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, უნდა შეექმნას პირობები მის დასაუფლებლად.

ადმინისტრაცია ვალდებულია

დაწესებულებაში მოაწყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობა.

შრომა

მსჯავრდებულის შრომაში ჩართვა, როგორც წესი, ხდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე. მსჯავრდებულის დასაქმება შესაძლებელია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებაშიც.

მსჯავრდებულებს ერიცხებათ ხელფასი პირად საბანკო ანგარიშზე.

მსჯავრდებული უფლებამოსილია, აღნიშნული თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ახლო ნათესავებს ან მისთვის სასურველ სხვა პირებს.

შესაძლებელია, რომ მსჯავრდებულმა იმუშაოს დაწესებულების გარეთ, თუმცა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

დაწესებულების გარეთ მუშაობის წესს ადგენს და განსაზღვრავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი.

გარე სამყაროსთან კონტაქტის სახეები

გარე სამყაროსთან კონტაქტის სახეებია: ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი, ვიდეოპაემანი, ხანმოკლე გასვლა, დაწესებულების დროებით დატოვება, მიმოწერა.

ხანმოკლე პაემანი

ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს **3 ხანმოკლე პაემანი.**

ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰქონდეს **2 ხანმოკლე პაემანი** 1 თვის განმავლობაში, ხოლო წახალისების მიზნით — თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს **1 ხანმოკლე პაემანი,** ხოლო წახალისების მიზნით — თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

ხანმოკლე პაემანი გულისხმობს მსჯავრდებულის შეხვედრას მის ახლო ნათესავებსა და სხვა პირებთან,[1] 1-დან 2 საათამდე ვადით.

ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონტროლი უნდა განხორციელდეს მსჯავრდებულის პატივისა და ღირსების შეულახავად.

[1] (შვილი, მეუღლე, მშობელი (მშვილებელი), ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და მამიდაშვილი, აგრეთვე ის პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში)

პროცედურა

ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე ადმინისტრაცია წერილობით უნდა იქნეს ინფორმირებული 5 დღით ადრე.

ადმინისტრაცია ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა უზრუნველყოფს ხანმოკლე პაემნის ორგანიზებას. თუ არსებობს პაემანზე უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, განმცხადებელი ამის შესახებ განცხადების შეტანის დღესვე უნდა იყოს ინფორმირებული.

ყურადღება! ბრალდებულს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება ხანმოკლე პაემანი შეეცვალოს სატელეფონო საუბრით.

ხანგრძლივი პაემანი[2]

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების მიზნით — წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების მიზნით — წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა **დახურული** ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიეცეს ხანგრძლივი პაემნის უფლება.

[2] ხანგრძლივ პაემნებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს პატიმრობის კოდექსით და საქართველოს სასჯელაღსულების, პრობაციისა და იურიდიულ დამხარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 18 მარტის # 42 ბრძანებით „ მსჯავრდებულთან ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის შესახებ“

~~უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუ-ფლების აღკვეთის დაწესებულებაში,~~ უფლება აქვს, ჰქონდეს 1 წლის განმავლობაში 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით — წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

ხანგრძლივი პაემანი გულისხმობს მსჯავრდებულის განსაზღვრულ პირებთან ერთად ცხოვრებას დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, არაუმეტეს 24 საათისა.

პროცედურა

ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადება ადმინისტრაციას 2 კვირით ადრე უნდა წარედგინოს. განცხადებასთან ერთად, პირებმა, რომლებიც აპირებენ მსჯავრდებულთან შეხვედრას, ადმინისტრაციას უნდა წარუდგინონ ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თანხმობის შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორმა უნდა უზრუნველყოს ხანგრძლივი პაემანი განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. უარის შემთხვევაში, განმცხადებელს მოტივირებული საფუძველი უნდა ეცნობოს 10 დღის ვადაში.

საფასური – ხანგრძლივი პაემნის ღირებულებაა 60 ლარი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს პაემნის წინა სამუშაო დღეს.

შეუზღუდავი შეხვედრები

მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს:

- სახალხო დამცველს ან მის რწმუნებულს;
- ადვოკატს.

ადვოკატთან შეხვედრა ხდება ყოველგვარი ჩარევისა და ცენზურის გარეშე. დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ შეხვედრაზე ვიზუალური დაკვირვება. დაუშვებელია საუბრის მოსმენა და ჩაწერა.

სახალხო დამცველთან ან მის რწმუნებულთან შეხვედრა კონფიდენციურია და უნდა განხორციელდეს ვიზუალური დაკვირვების, მოსმენის და ნებისმიერი სხვა სახის კონტროლის გარეშე.

უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პირების დამატებითი გარანტიები

მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას.

ვიდეოპაემანი

მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით ნებისმიერ პირთან. მსჯავრდებულს ეზღუდება ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება დისციპლინური სახდელის მოქმედების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების პერიოდში.

ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება აქვს ყველა მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული და განსაკუთრებით საშიში პირებისა, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

შენიშვნა: დაწესებულებებში ვიდეოპაემნის ორგანიზება ხორციელდება ეტაპობრივად.

საფასური – ვიდეოპაემნის ღირებულებაა 15 ლარი.

დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლა

დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლა **შესაძლებელია,** თუ:

- მსჯავრდებულის მიმართ არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა;
- მოხდილი აქვს:
  - ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
  - მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

— განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის **ნახევრად ღია** ტიპის დაწესებულებაში, უფლება აქვს, წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლა **შესაძლებელია,** თუ:

- მსჯავრდებულის მიმართ არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა;
- მოხდილი აქვს:
  - — ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
  - — მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
  - — განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, წელიწადში 2-ჯერ, ხოლო ფეხმძიმე ქალებს და 3 წლამდე ბავშვების დედებს, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულებ-ის ადგილამდე მგზავრობის დროც.

დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლა **შესაძლებელია,** თუ:

- მსჯავრდებულის მიმართ არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა;
- მოხდილი აქვს:
  - — ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
  - — მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
  - — განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის **დახურული** ტიპის დაწესებულებაში, დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებას აძლევს დეპარტამენტის თავმჯდომარე, ამასთანავე, თუ მსჯავრდებული დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულია:

ა) სამეურნეო მომსახურებაში ჩარიცხვის გამო;

ბ) პირადი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე;

გ) გადამდები ინფექციური დაავადების გამო.

პროცედურა

დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის თავმჯდომარე. ამისათვის საჭიროა, მსჯავრდებულმა, მისმა დამცველმა/კანონიერმა წარმომადგენელმა ან ახლო ნათესავმა შუამდგომლობით მიმართოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს ხანმოკლე გასვლის მოტივი და ადგილი, სადაც მსჯავრდებული აღნიშნულ პერიოდს გაატარებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე **მხედველობაში იღებს** მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, დანიშნულების ადგილს, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს მსჯავრდებულს.

უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დეპარტამენტის თავმჯდომარემ შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ღონისძიებები ერთად ან ცალ-ცალკე:

ა) გირაო — არანაკლებ 2000 ლარისა;

ბ) პირადი თავდებობა;

გ) ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება.

დაწესებულების დროებით დატოვება

ადმინისტრაციამ შეიძლება უფლება მისცეს მსჯავრდებულს, **განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან** დაკავშირებით, დროებით დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არა უმეტეს 3 დღისა, თუ მიღებულია ცნობა მისი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე.

პროცედურა

დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის თავმჯდომარე, დაწესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, მსჯავრდებულმა, მისმა დამცველმა/კანონიერმა წარმომადგენელმა ან ახლო ნათესავმა შუამდგომლობით მიმართოს დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს ხანმოკლე გასვლის მოტივი და ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა ეს პერიოდი უნდა გაატაროს.

გადაწყვეტილების მიღების დროს **მხედველობაში მიიღება** მსჯავრდებულის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადის დაცვის, ნაკისრი ვალდებულების ზუსტად და კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა 2 კვირის ვადაში დაუბრუნდება მის შემტანს.

მიმოწერა

მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საკუთარი ხარჯით. ადმინისტრაცია ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, მსჯავრდებული უზრუნველყოს საწერი საშუალებებითა და ქაღალდით.

ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შეიძლება შემოწმდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის კორესპონდენცია.

ყურადღება! ვიზუალურ კონტროლს არ ექვემდებარება განსაზღვრული ადრესატებისთვის[3] გაგზავნილი მოთხოვნა და საჩივარი.

ამანათები

მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ან გაუგზავნოს ამანათი/გზავნილი ახლო ნათესავებს, ხოლო ადმინ-ისტრაციის ნებართვით — სხვა პირებს.

სატელეფონო საუბრები

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით – საკუთარი ხარჯით, თვეში 1 დამატებითი სატელეფონო საუბარი, არა უმეტეს 15 წუთისა.

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით – საკუთარი ხარჯით, თვეში 1 დამატებითი სატელეფონო საუბარი, არა უმეტეს 15 წუთისა.

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით – საკუთარი ხარჯით, თვეში 1 დამატებითი სატელეფონო საუბარი, არა უმეტეს 15 წუთისა.

აკრძალულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს შორის სატელე-ფონო საუბარი. მსჯავრდებულის სატელეფონო საუბარი ხორციელდება ადმინისტრაციის კონტროლით.

---

[3] საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი

საჩივარი

მსჯავრდებულს უფლება აქვს, საჩივარი შეიტანოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. საჩივრის ადრესატი შეიძლება იყოს დაწესებულების დირექტორი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, სახალხო დამცველი, მთავარი პროკურატურა ან, მსჯავრდებულის შეხედულებისამებრ, ნებისმიერი სხვა ორგანო ან თანამდებობის პირი. ადმინისტრაცია ვალდებულია, შესული საჩივარი მიღებიდან 48 საათის ვადაში გადაუგზავნოს ადრესატს.

დაწესებულების დირექტორი განიხილავს საჩივარს მისი მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. დეპარტამენტის თავმჯდომარე საჩივარს განიხილავს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ორივე მათგანს შეუძლია საჩივრის განხილვის ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 1 თვისა, რის შესახებაც განმცხადებელს დაუყოვნებლივ ეცნობება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

შენიშვნა! საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით, მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკის კონსულტაცია.

წესრიგი, პასუხისმგებლობა და წახალისება

მსჯავრდებული მოვალეა

- დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესებსა და პირობებს;
- შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობანი და ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები;
- დაიცვას დაწესებულების დებულება და შეასრულოს ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები;
- დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი სადგომი.

მსჯავრდებულს ეკრძალება

- სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევა;
- დაწესებულების მოსამსახურისა და სხვა პირისათვის მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას წინააღმდეგობის გაწევა;
- განზრახ ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე, სხვა პირის ღირსებისა და ხელშეუხებლობის შელახვა;
- დაწესებულების ან სხვა პირის ქონების დაზიანება/განადგურება, მათ შორის, მისი ვიზუალური მხარის ცვლილებით;
- დაწესებულების მიერ დადგენილი გადაადგილების შეზღუდვების/საზღვრების უნებართვოდ გადაკვეთა;
- დაწესებულების ტერიტორიაზე, სარგებლის მიღების მიზნით, საქმიანობა ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე;
- დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულ მოწყობილობათა/ სისტემების ფუნქციონირებაში ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე ჩარევა, შენობა-ნაგებობების დიზაინსა და ფუნქციებში ცვლილებების თვითნებურად შეტანა;
- დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალული ნივთის დამზადება, ფლობა ან სარგებლობა;
- ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- ნებისმიერი სახის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ;
- დაწესებულების დებულების, დაწესებულებაში დადგენილი დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების დარღვევა.

დისციპლინური პასუხისმგებლობა

მსჯავრდებულს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ქმედებისთვის, რომელიც არღვევს დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

დისციპლინური დარღვევის შედეგია მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური ზომების მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. დისციპლინური დარღვევისათვის გამოყენებული სახდელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული.

დისციპლინური სახდელის სახეებია:

- გაფრთხილება;
- საყვედური;
- მუშაობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა 6 თვემდე ვადით;
- სამარტოო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით.
- სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ.

ორსული ქალების, მცირეწლოვანი ბავშვების დედებისა და 65 წელს გადაცილებული მსჯავრდებულების მიმართ არ გამოიყენება საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა 6 თვემდე ვადით და სამარტოო საკანში მოთავსება.

წახალისება

სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, ქალთა დაწესებულებისა და არასრულწლოვანთა

დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- დამატებითი ხანმოკლე პაემანი;
- დაწესებულის გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლა;
- პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობა;
- დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;
- დამატებითი სატელეფონო საუბარი;
- დამატებითი ვიდეოპაემანი.

სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე შუამდგომლობა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ;
- დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- დამატებითი სატელეფონო საუბარი;
- დაწესებულების დირექტორის მიერ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობის წარდგენა;
- პირადი ტელევიზორით, კომპიუტერით ან რადიომიმღებით სარგებლობა;
- დამატებითი ხანმოკლე პაემანი;
- დამატებითი ხანგრძლივი პაემანი (უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიმართ);
- დამატებითი ვიდეოპაემანი.

დაწესებულებიდან გათავისუფლების წესი და საფუძვლები

მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან შეიძლება გათავისუფლდეს შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- სასჯელის მოხდის შემდეგ;
- სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას;
- განაჩენის კანონით დადგენილი წესით შეცვლის ან გაუქმების გამო;
- ამნისტიით ან შეწყალებით;
- ავადმყოფობის[4] ან ხანდაზმულობის ასაკის გამო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულების გადავადების შემთხვევაში.

დაწესებულებიდან მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდის დამთავრების დღის წინა დღეს. თუ გათავისუფლების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს. გათავისუფლებისას მსჯავრდებულს მიეცემა სათანადო ცნობა დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ, დაუბრუნდება პირადი ნივთები და ტანსაცმელი, რომელიც ინახებოდა ადმინისტრაციაში, ასევე, მიეცემა პირად ანგარიშზე დაგროვილი თანხის სრული განკარგვის უფლება.

პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება და სასჯელის მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა

მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას ახორციელებს **ადგილობრივი საბჭო,**[5] რომელიც ვალდებულია, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი განიხილოს ყოველ 3 თვეში. საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.

---

[4] იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რომლებიც სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძველია, ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. იხ. დანართი #?.

[5] საბჭოს წევრები ინიშნებიან მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის თანხმობით.

ადგილობრივი საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- დანაშაულის ხასიათს;
- მსჯავრდებულის ქცევას;
- მსჯავრდებულის წარსულს;
- ოჯახურ პირობებს;
- მსჯავრდებულის პიროვნებას.

ქალთა სპეციალურ, ნახევრად ღია ტიპისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის აუცილებელია, რომ მას ფაქტობრივად მოხდილი ჰქონდეს:

- ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;
- მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი;
- სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს და პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე;
- მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი.

ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია.[6]

[6] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია

პროცედურა

განცხადებით კომისიისთვის მიმართვის უფლება აქვს:

- მსჯავრდებულს;
- მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს;
- დაწესებულების დირექტორს.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მსჯავრდებულის ავადმყოფობის ისტორიის ქსეროასლი და მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ საექიმო დასკვნა.

დაავადებების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება გახდეს სასჯელის გადავადების ან სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველი:

1. ტუბერკულოზი
2. ავთვისებიანი სიმსივნე
3. სხივური დაავადება
4. ენდოკრინული დაავადებები
5. ფსიქიკური აშლილობა
6. ნერვული სისტემისა და გრძნობის ორგანოების დაავადებები
7. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება
8. სასუნთქი გზების დაავადება
9. საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადება
10. თირკმელების დაავადება
11. ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებანი
12. ანატომიური დეფექტები
13. აივ ინფექცია/შიდსი
14. ჰემატოლოგიური დაავადებანი

შენიშვნა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის №72/ნ ბრძანება აკონკრეტებს, ზემოაღნიშნული დაავადებების რომელი ფორმებია გათავისუფლების საფუძველი.

შეწყალება

მსჯავრდებულის შეწყალებისას, შესაძლებელია სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, სასჯელის მოხდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა.

შეწყალების შუამდგომლობები რეგისტრირდება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, განიხილება შეწყალების კომისიის[7] მიერ და შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

შეწყალების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომისიაზე განსახილველად განმეორებითი თხოვნა შეიძლება შეტანილ იქნეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

აუცილებელია, მსჯავრდებულმა მიმართოს შუამდგომლობით პრეზიდენტს. ასევე, სასურველია, დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განაჩენის (განაჩენთა) ასლი, რომლის საფუძველზეც პირი იხდის სასჯელს, ასევე, იმ გადაწყვეტილებათა ასლები, რომლებიც გამოტანილია ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ განაჩენის (განაჩენთა) თაობაზე;
- ცნობა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- მონაცემები დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის შესახებ;
- ცნობები მსჯავრდებულის ბიოგრაფიული მონაცემებისა და მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ;

[7] შეწყალების კომისიაში შედიან საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს სახალხო დამცველი, საზოგადოების წარმომადგენლები.

- მონაცემები შეწყალების თაობაზე ადრე წარდგენილი შუამდგომლობებისა და მათი განხილვის შესახებ;
- მონაცემები მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის ან შეწყალების აქტის გამოყენების თაობაზე;
- ცნობა მსჯავრდებულის ნასამართლობის შესახებ;
- მონაცემები მსჯავრდებულის მიმართ პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის გამოყენების შესახებ;
- მსჯავრდებულის დახასიათება, გაცემული დაწესებულების ხელმძღვანელი პირების მიერ.

ბრალდებულები

ბრალდებული პირები, როგორც წესი, თავსდებიან განცალკევებით. ბრალდებულები სარგებლობენ იმ უფლებებით, რა უფლებებითაც მსჯავრდებულები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

კერძოდ, ბრალდებულ პირებს არ აქვთ უფლება:

- საკუთარი ხარჯით აწარმოონ მიმოწერა (გარდა საჩივრების და განცხადებებისა);
- ჰქონდეთ სატელეფონო საუბარი;
- ისარგებლონ ხანმოკლე პაემნით.

ზემოაღნიშნული უფლებებით სარგებლობა ბრალდებულს შეუძლია მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით.

დანართები

დანართი №1

ჩამონათვალი იმ ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებებისა და დოკუმენტებისა, რომელთა შენახვა და გამოყენება აკრძალულია[8]

1. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები.
2. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა.
3. სატრანსპორტო საშუალებები.
4. ფეთქებადი, მომწამვლელი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები.
5. ფული, ფასეული ნივთები, ფასიანი ქაღალდები.
6. ოპტიკური ხელსაწყოები.
7. საკვები პროდუქტები, რომლებიც საჭიროებს სითბურ დამუშავებას (ყავა-ჩაის გარდა), საფუარი, შაქარი.
8. ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, ლუდი.
9. სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები.
10. გადასამრავლებელი აპარატები.
11. დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, სანთებელები.
12. ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.
13. ბანქო.
14. ფოტოაპარატები, ფოტომასალები, ქიმიკატები, ვიდეოკამერები.
15. მობილური ტელეფონები.
16. ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა).
17. ტოპოგრაფიული რუკები და კომპასები.
18. დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი, ქუდები და ფეხსაცმელი.
19. ფერადი ფანქრები, საღებავები, კოპირების ქაღალდები.

---

[8] დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებით.

დანართი №2

ჩამონათვალი იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომელთა მიღება, შენახვა, კანონიერად გამოყენება და შეძენა მაღაზიაშია ნებადართული[9]

1. თამბაქო და ასანთი.
2. ტანსაცმელი, ქუდი, ფეხსაცმელი და ბრალდებულისათვის დადგენილი ნიმუშის საწოლის ნივთები.
3. საცვლები (თბილი და უბრალო).
4. წინდები, კოლგოტკები, ოთახის ფლოსტები, სპორტული ფეხსაცმელი, ძაფები, მოსასხამები, პირსახოცები.
5. ტუალეტის ნივთები (ტუალეტის და საყოფაცხოვრებო საპონი, კბილის ჯაგრისი, კბილის ფხვნილი, კბილის პასტა, ნელსაცხებელი, სავარცხელი, თმის სამაგრი სავარცხელი).
6. თავსაფრები, რეიტუზები, ქამრები, ბიუსტჰალტერები, მარლა, ჰიგიენური პაკეტები, თმის სამაგრები, ვაზელინი, ბამბა, შამპუნი, კოსმეტიკური ნივთები (ქალებისათვის).
7. სარკე, ერთჯერადი სამართებელი (ბრიტვა).
8. პლასტმასისაგან დამზადებული სათვალის, საპნისა და კბილის ჯაგრისის ბუდეები, ჭურჭელი, ჭიქები და კოვზები.
9. სამაგიდო თამაშები, გარდა ბანქოსი.
10. სახელმძღვანელოები, რვეულები, საფოსტო კონვერტები, ღია ბარათები, საფოსტო მარკები, უბრალო ფანქრები, ავტოკალმები, მელანი, შავი, ცისფერი და იისფერი ავტოკალმის ღერები.
11. ლიტერატურა.
12. ფოტოგრაფიები, ფოტოალბომები.
13. სპორტული ტანსაცმელი.
14. ქარხნული წარმოების ელექტრომადუღარები.
15. არაძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ჯვრები და საკულტო საგნები.
16. ყავარჯნები, ხის ტროსტები, პროტეზები, ინვალიდის ეტლები (ექიმის ნებართვით).
17. ტელევიზორები, რადიომიმღებები.
18. წამლები (ექიმის ნებართვით და მეთვალყურეობით).

შენიშვნა: მსჯავრდებულს არ შეუძლია ამანათის სახით მიიღოს სარკე, ერთჯერადი სამართებელი (ბრიტვა), ქარხნული წარმოების ელექტრომადუღარები, ტელევიზორები, რადიომიმღებები.

[9] დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებით.

დანართი №3

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა
და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა
და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ
მუდმივმოქმედ კომისიას

მსჯავრდებულ _____

(სახელი, გვარი)

(ს.ა.დ-ის №___ დაწესებულება)

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

(ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების თაობაზე)

მოგახსენებთ, რომ მე, მსჯავრდებული ***(სახელი, გვარი), (მიუთითეთ სასამართლო, რომელმაც გცნოთ დამნაშავედ)*** სასამართლომ დამნაშავედ მცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ***(რომელი დანაშაულის ჩადენისთვის იხდით სასჯელს, მიუთითეთ მუხლის ნომერი და ნაწილი)*** მუხლით გათვალ-ისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განმესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ***(მიუთითეთ რამდენი წელი გაქვთ მისჯილი სასამართლოს მიერ სასჯელაღსრულებით დაწესებულება-ში მოსახდელად)*** წლის ვადით. სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო ***(აღნიშნეთ, როდიდან იხდით სასჯელს, მიუთითეთ წელი, რიცხვი, თვე, როდესაც დაიწყო სასჯელის ვადის ათვლა).***

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის მძიმე ***(აღწერეთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რა ჩივ-ილები გაქვთ, რა გაწუხებთ, მიუთითეთ თქვენი დიაგნოზი, რა დიაგნოზი დაგიდგინათ ექიმმა).***

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №179-№427 ერთობლივი ბრძანების თანახმად, შეიქმნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია. ამ ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიის ფუნქციას წარმოადგენს *"სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღება."*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის №72/ნ ბრძანების, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის №179-№427 ერთობლივი ბრძანების, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის, საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" 39-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, შეისწავლოთ ჩემი, მსჯავრდებულ ***(სახელი, გვარი)*** ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამათავისუფლოთ დარჩენილი სასჯელის მოხდისგან, რათა საშუალება მომეცეს, ვიზრუნო ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის!

პატივისცემით,

სახელი და გვარი

ხელმოწერა

თარიღი

დანართი №4

საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს
საქართველოს ადგილობრივი
საბჭოს თავმჯდომარეს

მსჯავრდებულ _____

(სახელი, გვარი)

(ს.ა.დ-ის №___ დაწესებულების პატიმარი)

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

(პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე)

საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მოგმართავთ ჩემი, მსჯავრდებულ ---------- ***(სახელი, გვარი)*** პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობით. მოგახსენებთ, რომ ***(მიუთითეთ სასამართლო, რომელმაც გცნოთ დამნაშავედ)*** სასამართლომ დამნაშავედ მცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ***(რომელი დანაშაულის ჩადენისთვის იხდით სასჯელს, მიუთითეთ მუხლის ნომერი და ნაწილი)*** მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განმესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ***(მიუთითეთ, რამდენი წელი გაქვთ მისჯილი სასამართლოს მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად)*** წლის ვადით. სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო ***(მიუთითეთ წელი, თვე, რიცხვი – როდესაც დაიწყო სასჯელის მოხდის ვადის ათვლა).***

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი, ასევე, პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლი ითვალისწინებს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებას სასჯელის მოხდისაგან.

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ შემდეგი გარემოებები ***(აღწერეთ, თუ დადებულია საპროცესო შეთანხ-***

მება, გამოძიებასთან თანამშრომლობის ფაქტი, აღიარება, თქვენი პიროვნება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, გყავთ თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა, ოჯახური პირობები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციასა და სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობა, დაზარალებულის მოსაზრება და სხვა გარემოებები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის I ნაწილის და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №151 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების მე-18 მუხლის I ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, განიხილოთ ჩემი შუამდგომლობა და დადებითად გადაწყვიტოთ ჩემი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხი.

პატივისცემით,

თქვენი სახელი და გვარი

ხელმოწერა

თარიღი

დანართი №5

საქართველოს პრეზიდენტს

მსჯავრდებული --------- ***(სახელი და გვარი)***, დაბადებული ----- ***(თარიღი)***, მოთავსებული -------- --- ***(დაწესებულების დასახელება)*** სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

შუამდგომლობა (თხოვნა) შეწყალების შესახებ

მოგახსენებთ, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, --- ***(თარიღი)*** მომესაჯა თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის --- მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. გთხოვთ, პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის 65-ე მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, განახორციელოთ შეწყალება ჩემ მიმართ და --------- ***(თხოვნის არსი – გამათავისუფლოთ სასჯელის მოხდისაგან).***

პატივისცემით,

მსჯავრდებული -------- ***(სახელი, გვარი)*** თარიღი

შუამდგომლობას თან ერთვის:

- განაჩენის ასლი, რომლის საფუძველზეც იხდით სასჯელს;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- დახასიათება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან;
- მონაცემები დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის შესახებ;
- ინფორმაცია თქვენი ბიოგრაფიისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ;
- ცნობები, იყავით თუ არა პირობით ვადამდე გათავისუფლებული.

დანართი №6

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს

მსჯავრდებულ ----------

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

(სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ უკანონო მოქმედებასთან დაკავშირებით)

თარიღი: ----------

უკანონო მოქმედების არსი: ----------

მოთხოვნა: ----------

მოწმის ან მოწმეთა ვინაობა (თუკი ისინი არსებობენ) ----------

მსჯავრდებული: (ხელმოწერა)

დაირღვა თქვენი უფლებები? დაგვიკავშირდით:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი:

თბილისი:
ნინო რამიშვილის ქ. 6, 0179
ტელ: + (995 32) 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: + (995 32) 2922470
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. №9, 6000
ტელ: + (995 422) 27 05 44
მობ: 577 50 52 31

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. №18, 4600
ტელ: + (995 431) 25 33 50
მობ: 577 55 33 81

ზუგდიდი:
კოსტავას ქ. №58, 2100
ტელ: + (995 215) 25 04 20
მობ: 577 50 52 34

გორი:
სამების ქ. №1, 1400
ტელ: + (995 370) 27 05 49
მობ: 599 28 27 42

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. №4, 0700
ტელ: + (995 262) 22 32 83
მობ: 577 12 27 70; 577 12 27 71

მარნეული:
რუსთაველის ქ. №51, 3000
ტელ: + (995 257) 22 19 70
მობ: 577 12 27 30

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის ოფისი
ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი
ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

გორის ოფისი
სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი
კოსტავას 15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი
ბარნოვის ქ. №10, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge